სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
2019 წლის საქმიანობის ანგარიში

თბილისი 2020

სარჩევი

შესავალი	3
სახელმწიფო შესყიდვების ძირითადი მაჩვენებლები	5
შესყიდვები დონორის სახსრებით - DEP ტენდერები	25
სამართლებრივი ბაზის სრულყოფა	27
სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავები	29
ცენტრალიზებული შესყიდვები	33
გამარტივებული შესყიდვები	39
ადმინისტრაციული სამართალდარღვევები და სასამართლო დავები	41
„თეთრი სიის“ წარმოება	42
„შავი სიის“ წარმოება	43
სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების მონიტორინგი	44
ადამიანური რესურსების განვითარება	45
მომხმარებლებთან საქმიანი კომუნიკაცია	47
საერთაშორისო ურთიერთობების ინტენსიფიცირება	54
პარტნიორებთან თანამშრომლობა	62

შესავალი

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია დეტალური ინფორმაცია სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ 2019 წელს განხორციელებული საქმიანობის შესახებ. მისი მიზანია მკითხველს მიაწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია სააგენტოს მიერ საჯარო შესყიდვების სფეროში განხორციელებული რეფორმების, შესყიდვების მონიტორინგის მიზნით გაწეული საქმიანობის, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში - *eProcurement*[1] დანერგილი სიახლეებისა და შესყიდვების სფეროში დასაქმებული სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ჩატარებული სხვადასხვა სასწავლო პროგრამების შესახებ. გარდა ამისა, ანგარიშში მკითხველი შეძლებს გაეცნოს მრავალ საინტერესო სტატისტიკურ მონაცემსა და ინფორმაციას საჯარო შესყიდვების სფეროდან.



2019 წლის განმავლობაში სხვადასხვაგვარი სახის მომსახურების, საქონლისა და სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით განხორციელებული საჯარო შესყიდვების საერთო მოცულობამ, რეკორდული - 5,332,804,815 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 11%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის 63% შეადგინა.

ზემოხსენებული თანხის უდიდესი წილი - 82.4% დაიხარჯა კონკურენტული, ღია-ელექტრონული ტენდერების მეშვეობით გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში, რაც ასევე ყველაზე მაღალი მაჩვენებელია სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის დანერგვიდან დღემდე. შესაბამისად, 17.6%-მდე შემცირდა გამარტივებული შესყიდვების წესით[2] გაფორმებული ხელშეკრულებების წილი მთლიან საჯარო შესყიდვებთან მიმართებაში. აღნიშნული დადებითი მაჩვენებელი, გასულ წლებში საჯარო შესყიდვების სფეროში განხორციელებული თანმიმდევრული რეფორმების შედეგია.

სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების კიდევ უფრო მეტად ეფექტიანი ხარჯვის უზრუნველსაყოფად, ჯერ კიდევ 2018 წელს, საქართველოს მთავრობისა და სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ ერთობლივად ინიცირებული რეფორმების ციკლის შედეგად, მნიშვნელოვანად დაიხვეწა ცენტრალიზებული, ე.წ. კონსოლიდირებული შესყიდვების წარმართვის პრაქტიკა. ამგვარად, 2019 წლისთვის, შესაძლებელი გახდა კონსოლიდირებული ტენდერებით შესასყიდი სხვადასხვა სახის

[1] Georgian Electronic Government Procurement System (Ge-GP), 2010-2020

[2] გამარტივებული შესყიდვების ამ მოცულობაში იგულისხმევა ყველა სახის ე.წ. „პირდაპირი“, „ერთი წყაროდან“, „ერთ პირთან მოლაპარაკების გზით“ დადებული ხელშეკრულება, მათ შორის ეროვნული მონეტარული ზღვრების ქვემოთაც (ანუ 5,000 ლარამდე შესყიდვებიც)

მომსახურებისა და საქონლის სპექტრის გაფართოება. საერთო ჯამში, 2019 წელს ჩატარებული კონსოლიდირებული ღია ელექტრონული ტენდერების ფარგლებში გაფორმდა 403 მილიონი ლარის ღირებულების ხელშეკრულება და ამასთანავე, აღნიშნული ტენდერების შედეგად მიღებულმა ეკონომიამ შესაბამისი შესყიდვის ობიექტების საცალო და საბითუმო ფასებთან მიმართებაში გადააჭარბა 100 მილიონ ლარს.



2019 წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების *eProcurement* სისტემაში დაიხვეწა რამოდენიმე უკვე არსებული მოდული, ჩაშენდა ახალი ფუნქციონალი და განხორციელდა ტექნიკური სახის განახლებები, რომელიც მის მომხმარებლებს უმარტივებს სისტემაში ოპერირებას.

კერძოდ, მომხმარებელზე ორიენტირებული ფუნქციური სახის განახლებები შეეხო სისტემის, გამარტივებული შესყიდვების, ე.წ. CMR მოდულს; ძებნის ახალი პარამეტრები დაემატა სისტემის სპეციალურ მონიტორინგის მოდულს; ასევე, სისტემას დაემატა კონსოლიდირებული ტენდერების ხელშეკრულებების მართვის სრულიად ახალი მოდული.

2019 წლის მანძილზე სააგენტოს სასწავლო ცენტრში ჩატარდა ტრენინგების 25 ციკლი. ტრენინგები განხორციელდა ორი განსხვავებული პროგრამით - „სახელმწიფო შესყიდვების კურსი“ და “სიახლეები სახელმწიფო შესყიდვებში“. აღნიშნული სასწავლო პროგრამების ფარგლებში, საერთო ჯამში გადამზადდა 700 მსმენელი.

სამომავლოდ, სააგენტოს მიერ განსაკუთრებული ყურადღება კვლავ დაეთმობა შესყიდვების პროცესების ტრანსპარენტულობისა და საზოგადოების ჩართულობის მხარდაჭერას, სამოქალაქო და ბიზნეს საზოგადოებასთან დიალოგის გაღრმავებას, მათთვის ახალი სერვისების შეთავაზებას, შესყიდვების მონიტორინგის პროცესს და ყოველგვარი კორუფციული რისკების შემცირებას, შესყიდვების პროცედურების განვითარებას და შესყიდვების პრაქტიკის ევროკავშირის დირექტივებით დადგენილ სტანდარტებთან კიდევ უფრო დაახლოებას, საერთაშორისო თანამშრომლობის ინტენსიფიცირების გზით. სააგენტო გააგრძელებს შესყიდვების სფეროში დასაქმებული სპეციალისტების ფართო გადამზადების პროცესს, მათი უნარებისა და კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლების მიზნით.

სახელმწიფო შესყიდვების ძირითადი მაჩვენებლები

2019 წლის განმავლობაში, სხვადასხვა სახის მომსახურეობების, საქონლისა და სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების eProcurement სისტემაში საერთო ჯამში გამოცხადდა 34,216 ტენდერი[3] (დეტალურად იხ. N1 დიაგრამაში), რაც დაახლოებით 5%-ით აღემატება 2018 წელს გამოცხადებული ტენდერების რაოდენობას[4].

დიაგრამა N1: 2019 წელს გამოცხადებული ელექტრონული შესყიდვების პროცედურების რაოდენობა ტენდერის ტიპების მიხედვით



ისევე როგორც გასულ წლებში, 2019 წელსაც ყველაზე მეტი ტენდერი გამოცხადდა დეკემბრის თვეში. წლის ბოლოს გამოცხადებული ტენდერების სიმრავლე დიდწილად განპირობებულია მომდევნო წლისათვის საჭირო მომსახურეობის დროულად და გარანტირებულად განხორციელების აუცილებლობით.

[3] იგულისხმება ტენდერები, კონკურსები და სხვა შესყიდვის ელექტრონული პროცედურები.
[4] 2018 წელს გამოცხადდა საერთო ჯამში 32,597 ტენდერი, კონკურსი და სხვა შესყიდვის ელექტრონული პროცედურა.

დიაგრამა N2: 2019 წელს გამოცხადებული ტენდერების განაწილება თვეების მიხედვით



ქვემოთ მოცემულ N1 ცხრილში და N3 დიაგრამაზე ნაჩვენებია 2018 და 2019 წლებში ჩატარებული ტენდერების განაწილება სავარაუდო ღირებულებების მიხედვით. როგორც დიაგრამაზე ჩანს, 2018 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად არის გაზრდილი მაღალი სავარაუდო ღირებულების მქონე ტენდერების წილი და შესაბამისად შემცირებულია შედარებით დაბალი სავარაუდო ღირებულების მქონე ტენდერების რაოდენობა. კერძოდ, თუ 2018 წელს 50,000 ლარის და მეტი სავარაუდო ღირებულების მქონე ტენდერების რაოდენობა 7,736 შეადგენდა, ეს რიცხვი 2019 წელს გაზრდილია 8,246-მდე. ხსენებული მონაცემების ცვლილება გამოწვეულია შემსყიდველი ორგანიზაციების საჭიროებების მეტად აგრეგირებით.

ცხრილი N1: 2018 და 2019 წლებში ჩატარებული ტენდერების რაოდენობები სავარაუდო ღირებულებების ჭრილში[5]

მონეტარული ზღვრები	2019 წელი (რაოდენობა)		2018 წელი (რაოდენობა)
10,000 და ნაკლები	10,011	-14.07%	11,650
10,001 – 20,000	4,690	-7.40%	5,065
20,001- 30,000	2,560	-6.33%	2,733
30,001 – 40,000	1,683	-7.48%	1,819
40,001 – 50,000	1,394	4.19%	1,338
50,001 – 100,000	3,086	8.93%	2,833
100,001 – 200,000	2,055	1.08%	2,033
200,000 და მეტი	3,105	8.19%	2,870

დიაგრამა N3: 2018 და 2019 წლებში ჩატარებული ტენდერების რაოდენობები სავარაუდო ღირებულებების ჭრილში



2019 წლის მონაცემებით, ასევე გაზრდილია შედარებით მოცულობითი ტენდერების საერთო სავარაუდო ღირებულება. კერძოდ, 2019 წელს გამოცხადებული ტენდერების სავარაუდო ღირებულებების ჯამის 94.1% (4,801,948,205 ლარი) მოდის იმ 8,246 ტენდერზე, რომელთა სავარაუდო ღირებულებებიც აღემატებოდა 50,000 ლარს; 2018 წელს ანალოგიური მაჩვენებელი შეადგენდა 92.7%-ს (იხ. ცხრილი N2).

[5] მონაცემები არ მოიცავს GEO, DEP, CON, GRA, B2B და პრეისკურანტიან ტენდერებს; მოიცავს მხოლოდ აღნიშნულ წლებში გამოცხადებულ ტენდერებს, რომლებიც ასევე დასრულდა იგივე წლებში

ცხრილი N2: 2018 და 2019 წლებში ჩატარებული ტენდერების ჯამური სავარაუდო ღირებულებები თანხობრივ ჭრილში[6]

მონეტარული ზღვრები	2019 წელი (ჯამური სავარაუდო ღირებულება)		2018 წელი (ჯამური სავარაუდო ღირებულება)
10,000 და ნაკლები	47,812,688	-11.69%	54,140,537
10,001 – 20,000	68,545,450	-7.64%	74,215,391
20,001- 30,000	63,936,444	-6.48%	68,366,639
30,001 – 40,000	59,254,277	-7.46%	64,033,434
40,001 – 50,000	62,944,929	3.69%	60,705,884
50,001 – 100,000	222,047,427	9.49%	202,796,864
100,001 – 200,000	295,668,997	2.01%	289,831,787
200,000 და მეტი	4,284,231,781	19.75%	3,577,683,767
სულ	**5,104,441,993**	16.23%	**4,391,774,303**

2019 წელს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ 5.3 მილიარდ ლარს გადააჭარბა, რაც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 11.7%-ს უტოლდება. ამრიგად, 2019 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების საერთო ღირებულება 1.3 მილიარდი ლარით აღემატება 2018 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს[7]. აღსანიშნავია, რომ ტენდერების მეშვეობით გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულების წილმა დაახლოებით 4.4 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც მთლიანი სახელმწიფო შესყიდვების 82.4%-ს შეადგენს[8].

[6] მონაცემები არ მოიცავს GEO, DEP, CON, GRA, B2B და ტენდერებს პრეისკურანტით . მოიცავს მხოლოდ აღნიშნულ წლებში გამოცხადებულ ტენდერებს, რომლებიც ასევე დასრულდა იგივე წლებში.

[7] 2018 წელს სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების მთლიანი ღირებულება 4,087,214,400 ლარს შეადგენდა.

[8] 2018 წელს ტენდერების მეშვეობით გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულების წილი მთლიან შესყიდვებთან მიმართებაში 81%-ს შეადგენდა

დიაგრამა N4: სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების მოცულობა[9]



არარეზიდენტ მიმწოდებლებთან[10] ტენდერების მეშვეობით გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ღირებულებამ 132 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა. ჯამში, არარეზიდენტ მიმწოდებლებთან, ტენდერების მეშვეობით დაიდო 61 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება.

[9] ტენდერების მონაცემები არ მოიცავს GEO, DEP, GRA და B2B პროცედურებით ჩატარებული ტენდერების ფინანსურ მაჩვენებლებს. გამარტივებული შესყიდვები მოიცავს 2019 წლის ფინანსური სახსრებით დადებულ ხელშეკრულებებს. გამარტივებული შესყიდვები არ მოიცავს ე.წ. სპეც. წესით გაფორმებულ შესყიდვებს

[10] არარეზიდენტ პირად ითვლება მხოლოდ ის მიმწოდებელი, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში რეგისტრირებულია უცხოური საიდენტიფიკაციო კოდით.

დიაგრამა N5: 2019 წელს არარეზიდენტ პირებთან ტენდერების მეშვეობით გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ღირებულება[11]



2019 წლის განმავლობაში, სახელმწიფო შესყიდვების *eProcurement* სისტემაში დასრულდა და შესაბამისი საბოლოო სტატუსი მიენიჭა 32,571 ტენდერს. ხელშეკრულება დაიდო დასრულებული ტენდერების 71%-ში (23,032 ტენდერი), ხოლო არ შედგა, უარყოფითად დასრულდა ან შეწყდა ტენდერების 29% (9,539 ტენდერი); დეტალური მონაცემები იხილეთ N6 დიაგრამაზე.

[11] ტენდერების მონაცემები არ მოიცავს GEO, DEP, GRA, CON და B2B პროცედურებით ჩატარებული ტენდერების ფინანსურ მაჩვენებლებს.

დიაგრამა N6: 2019 წელს ტენდერებზე მინიჭებული საბოლოო სტატუსები[12]



დიაგრამა N7: 2019 წელს დადებული ხელშეკრულებების განაწილება შესყიდვის ობიექტების მიხედვით



იმ ტენდერების საერთო სავარაუდო ღირებულება (23,032 ტენდერი) რომლებზეც 2019 წელს დაიდო ხელშეკრულებები 3,963,988,455 ლარს შეადგენდა, ხოლო ხელშეკრულებების

[12] მონაცემები არ მოიცავს GEO, DEP, CON, GRA და B2B ტენდერებს

ჯამური ღირებულება კი 3,609,891,394 ლარს[13]. ამრიგად, ტენდერებში, კონკურენციის შედეგად მიღებულმა ეკონომიამ 354,097,061 ლარი შეადგინა (ტენდერების ჯამური სავარაუდო ღირებულების დაახლოებით 9%). აქედან, ყველაზე მეტი, 262 მილიონ ლარამდე, სამშენებლო სამუშაოების ტენდერებში დაიზოგა. ქვემოთ მოცემულ N3 ცხრილში დეტალურად არის ასახული ეკონომიის მაჩვენებლები შესყიდვის ობიექტების მიხედვით.

ცხრილი N3: ეკონომიის მაჩვენებლები 2019 წელს დასრულებულ ტენდერებში

შესყიდვის კატეგორია	სავარაუდო ღირებულება	სახელშეკრულებო ღირებულება	ეკონომია	%
საქონელი	712,713,968	656,928,691	55,785,277	7.8
სამშენებლო სამუშაოები	2,709,504,433	2,447,945,153	261,559,280	9.7
მომსახურება	541,770,054	505,017,550	36,752,504	6.8
სულ:	**3,963,988,455**	**3,609,891,394**	**354,097,061**	**8.9**

დიაგრამა N8: ეკონომიის მაჩვენებლები 2019 წელს დასრულებულ ტენდერებში



2019 წელს დასრულებულ ტენდერებში პრეტენდენტების საშუალო რაოდენობამ 2.05 შეადგინა. აღსანიშნავია, რომ პრეტენდენტების ყველაზე მაღალი საშუალო მაჩვენებელი დაფიქსირდა სამშენებლო სამუშაოების ტენდერებში, ხოლო ყველაზე დაბალი - სხვადასხვა მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერებში (იხ. დიაგრამა N9).

[13] მიღებული ეკონომიის მაჩვენებლების დათვლის მიზნით მონაცემები არ მოიცავს GEO, DEP, B2B, CON, GRA და პრეისკურანტიან ტენდერებს

გარდა ამისა, აღინიშნება პრეტენდენტების საშუალო რაოდენობების მნიშვნელოვანი სხვაობა სხვადასხვა ტენდერის ტიპებში. სახელდობრ, ე.წ. NAT ტიპის (ვაჭრობის გარეშე ტენდერი, დახურული მონაცემებით) ტენდერებში მონაწილეების საშუალო რაოდენობა დაახლოებით 17%-ით აღემატება SPA ტიპის ტენდერების (ტენდერი ვაჭრობით „რევერსული აუქციონით“, ღია მონაცემებით) საშუალო მონაწილეების მაჩვენებელს (იხ. დიაგრამა N10).

დიაგრამა N9: პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა შესყიდვის ობიექტების მიხედვით[14]



[14] პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა დათვლილია 2019 წელს დასრულებულ იმ ტენდერებში, რომლებზეც დადებულია სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება. მონაცემებში არ შედის GEO, DEP, GRA, CON და B2B ტენდერები.

დიაგრამა N10: პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა ტენდერის ტიპების მიხედვით[15]



2019 წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების *eProcurement* სისტემაში დარეგისტრირდა 3,273 ახალი მიმწოდებელი და ჯამში სისტემაში რეგისტრირებული მიმწოდებლების რაოდენობამ 41 ათასს გადააჭარბა.

აღსანიშნავია, რომ სისტემაში რეგისტრირებული მიმწოდებლებიდან 1,977-მდე არის არარეზიდენტი ბიზნეს სუბიექტი[16], 76 ქვეყნიდან (იხ. დიაგრამა N12 და N13).

ასევე, გაზრდილია სისტემაში რეგისტრირებული შემსყიდველი ორგანიზაციების რაოდენობა. 2019 წელს სისტემას დაემატა 190 ახალი შემსყიდველი ორგანიზაცია და მათმა რიცხვმა წლის ბოლოსთვის შეადგინა 4,442.

[15] პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა დათვლილია 2019 წელს დასრულებულ იმ ტენდერებში, რომლებზეც დადებულია სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება

[16] არარეზიდენტ პირად ითვლება ის სუბიექტი, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში რეგისტრირებულია უცხოური საიდენტიფიკაციო კოდით

დიაგრამა N11: სახელმწიფო შესყიდვების eProcurement სისტემაში რეგისტრირებული მიმწოდებლების რაოდენობა წლების მიხედვით



დიაგრამა N12: სახელმწიფო შესყიდვების eProcurement სისტემაში რეგისტრირებული არარეზიდენტი მიმწოდებლების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით


331
270
179
125
106
100
85
55
52
41
41
38
34
34
32
27
27
26
25
24
23
21
19
16
15
14
12
12
11
11
10
9
9
9
8
8
7
7
6
6
5
5
5
4
4
4
3
3
3
3
3
3
2
2
2
2
2
2
2
1
1
1

დიაგრამა N13: სახელმწიფო შესყიდვების eProcurement სისტემაში რეგისტრირებული არარეზიდენტი მიმწოდებლების განაწილება რეგიონების მიხედვით



„ტოპ“ კატეგორიები[17]

ქვემოთ მოცემულ N4 ცხრილში ნაჩვენებია ის CPV კატეგორიები, რომლებშიც არარეზიდენტი მიმწოდებლები ყველაზე მეტჯერ გამოვლინდნენ გამარჯვებულებად და გაუფორმდათ ხელშეკრულებები.

ცხრილი N4: არარეზიდენტი მიმწოდებლების მიერ მოგებული ტენდერების ტოპ 5 CPV კატეგორია ხელშეკრულებების ჯამური ღირებულებების მიხედვით

N	CPV კატეგორია	ტენდერების რაოდენობა	ტენდერების ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება
1	33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები	16	44,330,659
2	45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები	3	21,660,180
3	34100000 - ავტოსატრანსპორტი საშუალებები	2	20,059,662
4	34900000 - სხვადასხვა სანტანსპორტო მოწყობილობა და სათადარიგო ნაწილები	3	12,569,442
5	71300000 - საინჟინრო მომსახურებები	4	6,623,399

ქვემოთ მოცემულ N5, N6 და N7 ცხრილებში ნაჩვენებია „ტოპ“ 10 შემსყიდველი ორგანიზაცია ტენდერების ჯამური სავარაუდო ღირებულების, ტენდერების შედეგად მიღებული ეკონომიისა და პრეტენდენტების საშუალო რაოდენობის მიხედვით. როგორც მონაცემები გვიჩვენებს, ტენდერების ყველაზე მაღალი ჯამური სავარაუდო ღირებულება და ყველაზე მეტი ეკონომია დაუფიქსირდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს. ხოლო პრეტენდენტების ყველაზე მაღალი საშუალო რაოდენობა (3.55 პრეტენდენტი) დაფიქსირდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში.

[17] ე.წ. „ტოპ“-კატეგორიებში მოცემულ მონაცემებში გათვალისწინებულია ყველა ტენდერი, რომლებზეც 2019 წელს დაიდო ხელშეკრულება, გარდა GEO, DEP, GRA, CON და B2B ტენდერებისა

ცხრილი N5: ტოპ 10 შემსყიდველი ორგანიზაცია ტენდერების ჯამური სავარაუდო ღირებულების მიხედვით[18]

N	შემსყიდველი ორგანიზაცია	გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა	ჯამური სავარაუდო ღირებულება
1	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი	212	522,740,659
2	საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	154	358,533,413
3	ქ. თბილისის მერია	332	279,365,577
4	თბილისის სატრანსპორტო კომპანია	262	147,727,541
5	საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო	68	134,609,531
6	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	457	91,680,500
7	სპეციალური პენიტენციალური სამსახური	148	83,907,065
8	ა(ა)იპ საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო	100	65,281,348
9	ს.ს.ი.პ. "ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი"	221	60,140,685
10	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი	270	57,564,171

[18] ცხრილში მოცემულ სტატისტიკაში ასახულია მხოლოდ იმ ტენდერების სავარაუდო ღირებულების ჯამი, რომლებზეც გაფორმდა ხელშეკრულება

ცხრილი N6: ტოპ 10 შემსყიდველი ორგანიზაცია ჯამური ეკონომიის მიხედვით

N	შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება	ჯამური სავარაუდო ღირებულება	ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება	ეკონომია	%
1	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი	522,740,659	449,756,646	72,984,013	14%
2	ქ. თბილისის მერია	279,365,577	251,054,826	28,310,751	10%
3	საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	358,533,413	331,449,930	27,083,483	8%
4	თბილისის სატრანსპორტო კომპანია	147,727,541	132,637,344	15,090,197	10%
5	საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო	134,609,531	120,766,294	13,843,237	10%
6	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	91,680,500	83,061,750	8,618,750	9%
7	შპს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია	51,406,688	43,325,644	8,081,044	16%
8	ა (ა) იპ საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო	65,281,348	58,366,605	6,914,743	11%
9	აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	35,975,765	29,136,200	6,839,565	19%
10	შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია	53,674,089	48,055,045	5,619,044	11%

ცხრილი N7: ტოპ 10 შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტთა საშუალო რაოდენობის მიხედვით[19]

N	შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება	ტენდერების რაოდენობა	პრეტენდენტების რაოდენობა	პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა
1	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია	112	397	3.55
2	შპს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია	55	191	3.47
3	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	126	417	3.31
4	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი	212	666	3.14
5	თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო	50	153	3.06
6	საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო	68	207	3.04
7	შპს"ბათუმის წყალი"	125	380	3.04
8	აჭარის ა.რ. მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი	270	771	2.86
9	მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანო	104	296	2.85
10	საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	154	428	2.78

მომდევნო N8, N9 და N10 ცხრილებში ნაჩვენებია შესყიდვის ის „ტოპ“ კატეგორიები, რომლებშიც დაფიქსირდა ყველაზე მაღალი ეკონომია, პრეტენდენტების ყველაზე მეტი და ყველაზე დაბალი აქტივობა. ჯამური ეკონომიისა და პრეტენდენტების ყველაზე მაღალი საშუალო რაოდენობის მიხედვით, პირველ ადგილზეა სამშენებლო სამუშაოების CPV კატეგორია. ხოლო, პრეტენდენტების ყველაზე მცირე საშუალო რაოდენობა - 1.13 დაფიქსირდა ორ CPV კატეგორიაში: “სამედიცინო და ზუსტი საზომი აპარატურის შეკეთება და ტექნიკური მომსახურება” და “პროგრამული პაკეტების მომსახურე პროგრამები”.

[19] ცხრილში მოცემულია მხოლოდ იმ შემსყიდველი ორგანიზაციების მაჩვენებლები, რომლებსაც წლის განმავლობაში ჩატარებული ტენდერების მეშვეობით გაფორმებული აქვთ 50 ხელშეკრულებაზე მეტი

ცხრილი N8: ტოპ 10 შესყიდვის კატეგორია ჯამური ეკონომიის მიხედვით

N	შესყიდვის CPV კატეგორია	ჯამური სავარაუდო ღირებულება	ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება	ეკონომია	%
1	45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები	2,287,786,325	2,067,110,011	220,676,314	10%
2	34100000 - ავტოსატრანსპორტო საშუალებები	130,583,099	112,822,767	17,760,332	14%
3	45400000 - შენობის დასრულების სამუშაოები	180,641,879	164,309,491	16,332,388	9%
4	71300000 - საინჟინრო მომსახურებები	79,121,467	68,317,160	10,804,307	14%
5	45100000 - სამშენებლო უბნის მოსამზადებელი სამუშაოები	77,497,573	70,144,770	7,352,803	10%
6	45300000 - სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები	103,990,986	98,278,206	5,712,780	6%
7	66500000 - სადაზღვევო და საპენსიო მომსახურებები	52,714,758	47,950,053	4,764,705	9%
8	33100000 - სამედიცინო მოწყობილობები	58,430,722	55,221,127	3,209,595	6%
9	33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები	80,019,639	77,385,296	2,634,343	3%
10	34900000 - სხვადასხვა სატრანსპორტო მოწყობილობა და სათადარიგო ნაწილები	28,319,366	25,788,820	2,530,546	9%

ცხრილი N9: ტოპ 10 შესყიდვის კატეგორია პრეტენდენტთა ყველაზე მაღალი საშუალო რაოდენობის მიხედვით[20]

N	შესყიდვის CPV კატეგორია	პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა
1	45400000 - შენობის დასრულების სამუშაოები	2.98
2	18900000 - საბარგო ნივთები, სასარაჯო ნაკეთობები, ტომრები და ჩანთები	2.86
3	22400000 - მარკები, ჩეკების წიგნაკები, ბანკნოტები, აქციები, სარეკლამო მასალა, კატალოგები და სახელმძღვანელოები	2.82
4	79800000 - ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებები	2.76
5	45300000 - სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები	2.75
6	18200000 - გარედან ჩასაცმელი ტანსაცმელი	2.65
7	18100000 - სამუშაო ტანსაცმელი, სპეცტანსაცმელი და აქსესუარები	2.65
8	45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები	2.50
9	18800000 - ფეხსაცმელი	2.47
10	39100000 - ავეჯი	2.46

[20] ცხრილში ასახულია მონაცემები მხოლოდ იმ კატეგორიებზე (CPV კოდებზე), რომლებზეც წლის განმავლობაში ჩატარებული ტენდერების მეშვეობით გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა მეტია 50-ზე

ცხრილი N10: ტოპ 10 შესყიდვის კატეგორია პრეტენდენტთა ყველაზე დაბალი საშუალო რაოდენობის მიხედვით[21]

N	შესყიდვის CPV კატეგორია	პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა
1	50400000 - სამედიცინო და ზუსტი საზომი აპარატურის შეკეთება და ტექნიკური მომსახურება	1.13
2	48700000 - პროგრამული პაკეტების მომსახურე პროგრამები	1.13
3	92200000 - სატელევიზიო და რადიო მომსახურებები	1.16
4	731 - მომსახურებები კვლევისა და ექსპერიმენტული განვითარების სფეროში	1.19
5	90500000 - ნარჩენებისა და ნაგავთან დაკავშირებული მომსახურებები	1.21
6	90600000 - ქალაქის ან სოფლის ზონების დასუფთავება და სანიტარული მომსახურება, ასევე მათთან დაკავშირებული მომსახურებები	1.24
7	77200000-სატყეო მეურნეობასთან დაკავშირებული მომსახურებები	1.27
8	60100000 - საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებები	1.31
9	64200000 - სატელეკომუნიკაციო მომსახურებები	1.31
10	50500000 - ტუმბოების, სარქველების, ონკანებისა და ლითონის კონტეინერების, ასევე, მანქანა-დანადგარების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება	1.34

[21] ცხრილში ასახულია მონაცემები მხოლოდ იმ კატეგორიებზე (CPV კოდებზე), რომლებზეც წლის განმავლობაში ჩატარებული ტენდერების მეშვეობით გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა მეტია 50-ზე

შესყიდვები დონორის სახსრებით - DEP ტენდერები

2019 წელს, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში გამოცხადდა 108 ელექტრონული ტენდერი, რომლებიც დაფინანსებული იყო სხვადასხვა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისა და დონორების სახსრებით (DEP ტენდერები). აღნიშნული ტენდერების საერთო სავარაუდო ღირებულებამ 485 მილიონი ლარი შეადგინა. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ტენდერების ჯამური სავარაუდო ღირებულების გადანაწილება დონორების მიხედვით.

ცხრილი N11: ტენდერების ჯამური სავარაუდო ღირებულების გადანაწილება დონორების მიხედვით

დონორი	ტენდერების რაოდენობა	სავარაუდო ღირებულება
მსოფლიო ბანკი	61	318 952 876
ევროპის საინვესტიციო ბანკი	31	143 540 825
სკანდინავიური გარემოს საფინანსო კორპორაცია	8	11 066 802
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი	4	9 311 483
აზიის განვითარების ბანკი	2	1 249 333
ევროკავშირი	2	820 942
ჯამი:	108	484 942 261

იმავე წელს, ხელშეკრულება გაფორმდა 83 ტენდერზე, რომლებიც გამოცხადებული იყო 2019, 2018, 2017 და 2016 წლებში. მათმა ჯამურმა სახელშეკრულებო ღირებულებამ 242 მილიონ ლარს გადააჭარბა. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ხელშეკრულებების ღირებულების გადანაწილება დონორების მიხედვით.

ცხრილი N12: ხელშეკრულებების ღირებულების გადანაწილება დონორების მიხედვით

დონორი	ტენდერების რაოდენობა	სავარაუდო ღირებულება	სახელშეკრულებო ღირებულება
მსოფლიო ბანკი	49	145 296 976	137 229 956
ევროპის საინვესტიციო ბანკი	23	97 100 213	92 052 051
სკანდინავიური გარემოს საფინანსო კორპორაცია	7	9 758 968	10 467 480
ევროკავშირი	2	980 042	979 868
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი	1	864 943	896 677
აზიის განვითარების ბანკი	1	536 700	626 329
ჯამი:	83	254 537 842	242 252 361

სამართლებრივი ბაზის სრულყოფა

სამართლებრივი ბაზის სრულყოფის, სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების დახვეწისა და ქვეყნის მიერ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მიზნით, 2019 წელს სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობაში რიგი ცვლილებები განხორციელდა, კერძოდ:

1. გამოიცა „სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი ევროკავშირის დირექტივებით დადგენილი მონეტარული ზღვრების გამოყენების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 21 აგვისტოს №3 ბრძანება. წესში ასახულ იქნა სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი ევროკავშირის დირექტივებით დადგენილი მონეტარული ზღვრები. წესის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუკი კონკრეტული შესყიდვის განხორციელებისას, ერთგვაროვანი საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოს ღირებულება შეადგენს ან აღემატება ხსენებულ მონეტარულ ზღვრებს, ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გასაცნობად, აგრეთვე სატენდერო წინადადების წარსადგენად შემსყიდველმა ორგანიზაციებმა უნდა განსაზღვრონ არანაკლებ 30 დღე, რომელთაგან სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გასაცნობად განკუთვნილია სულ მცირე პირველი 25 დღე, ხოლო სატენდერო წინადადების წარსადგენად – 5 დღე. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, სააგენტომ განახორციელა მთელი რიგი ქმედებები სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის ახალი რეგულაციების ადაპტირებისთვის.

2. გამოიცა „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 23 აგვისტოს №5 ბრძანება. ცვლილებების თანახმად, შემსყიდველი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან, კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების შედეგად დადებული ხელშეკრულება, ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული დოკუმენტები, ასევე ამ ხელშეკრულების ცვლილების (მათ შორის, ხელშეკრულების შეწყვეტის) ამსახველი დოკუმენტი, ნაცვლად CMR მოდულისა, ატვირთონ კონსოლიდირებული ტენდერის შესაბამის ახალ მოდულში. აღსანიშნავია, რომ სააგენტომ უზრუნველყო სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის ადაპტირება ხსენებული ცვლილებების შესაბამისად, იმგვარად, რომ შემსყიდველმა ორგანიზაციებმა შეუფერხებლად შეძლონ შესყიდვის განხორციელება კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

3. გამოიცა „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 23 სექტემბრის №6 ბრძანება, რომლითაც შეიცვალა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების დანართი და დადგინდა, რომ CPV45200000 კოდზე ელექტრონული ტენდერი შესაძლებელია

ჩატარდეს პრეისკურანტის საფუძველზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ითვალისწინებს მხოლოდ სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო სამუშაოს ან/და საავტომობილო გზების ან/და მასზე არსებული ხელოვნური ნაგებობების მიმდინარე ან/და პერიოდული შეკეთების სამუშაოს ან/და ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონასა და ისტორიული განაშენიანების რეგულირების ზონაში შესასრულებელ სამუშაოს.

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავები

სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში სამართლიანი კონკურენციის უზრუნველსაყოფად შექმნილი დავების განხილვის საბჭო 2019 წელსაც აქტიურად ფუნქციონირებდა სახელმწიფო შესყიდვების სფეროში არსებული დავების თაობაზე სამართლიანი, მიუკერძოებელი და დასაბუთებული გადაწყვეტილებების მისაღებად.

2019 წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში წარდგენილი იქნა 1,245 საჩივარი.

N14 დიაგრამაზე ასახულია საბჭოში წარდგენილი საჩივრების რაოდენობები წლების მიხედვით.

დიაგრამა N14: 2011-2019 წლებში სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში წარდგენილი საჩივრების სტატისტიკა



2019 წელს წარდგენილი საჩივრების უმეტესი ნაწილი - 705 საჩივარი, გადაწყდა ბიზნესის სასარგებლოდ (საბჭოს მიერ დაკმაყოფილდა სრულად ან ნაწილობრივ), რაც შემოსული საჩივრების 57%-ს შეადგენს. აღნიშნული ადასტურებს დავების საბჭოს ობიექტივიზმს და ბიზნესის მაღალი ნდობის დონეს დავების განხილვის საბჭოს მიმართ. საჩივრების სტატუსების დეტალური განაწილება მოცემულია N 15 დიაგრამაზე.

დიაგრამა N 15: 2019 წელს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში წარდგენილი საჩივრების სტატისტიკა



2019 წელს, საბჭოში შემოსული 1,245 საჩივრიდან 55 საჩივარი გაუქმებული იქნა. აღნიშნულ შემთხვევებში თავად მომჩივანმა განაცხადა უარი მის მიერ შემოტანილ საჩივარზე.

იქიდან გამომდინარე, რომ ზემოხსენებულ ყველა საჩივარზე უარი გაცხადებული იქნა წერილობითი ფორმით, საბჭოს აპარატისთვის ცნობილია საჩივარზე უარის თქმის საფუძვლები[22] - 49 შემთხვევაში მომჩივანს აღარ ჰქონდა საჩივრის განხილვის იურიდიული ინტერესი, 3 საჩივარი გაუქმდა სახელმწიფო და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, 1 საჩივრის შემთხვევაში მითითებულია, რომ მისი გაუქმების საფუძველი გახდა სხვადასხვა იურისტებთან დამატებითი კონსულტაციების გავლა, 1 საჩივრის შემთხვევაში გაუქმების მიზეზი გახდა ტენდერის დასრულება სტატუსით - „არ შედგა“ და 1 საჩივრის შემთხვევაში მითითებულია, რომ ერთდროულად წარმოდგენილი იყო ორი საჩივარი, რომელთაგან მომჩივანმა უარი განაცხადა იმ საჩივარზე, რომელშიც არასრულყოფილად იყო ასახული მისი პოზიცია და ამასთანავე არ იყო წარდგენილი თანდართული დოკუმენტები. 2019 წელს საბჭოში წარმოდგენილი 1,245 საჩივრიდან 170 დაუშვებლად იქნა ცნობილი შემდეგი საფუძვლებით:

[22] 37 (ოცდაჩვიდმეტ) შემთხვევაში საჩივრის გაუქმების წერილში არ არის მითითებული საჩივრის გაუქმების კონკრეტული მიზეზები

გასულია შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და სატენდერო/საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების/ქმედების გასაჩივრებისთვის დადგენილი 5 დღიანი ვადა	52
გასულია სატენდერო პირობების გასაჩივრების ვადა	21
დადებულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება	20
გასულია შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და სატენდერო/საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების/ქმედების გასაჩივრებისთვის გასაჩივრებისთვის დადგენილი 5 დღიანი ვადა და ასევე საჩივარი ეხება საკითხს, რომელზეც არსებობს საბჭოს გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით	1
არ იქნა გამოსწორებული საბჭოს აპარატის მიერ დადგენილი ხარვეზი	27
მომჩივანმა გაუშვა საჩივრის დაზუსტებისათვის განსაზღვრული ვადა	37
არ არსებობს დავის საგანი	1
სახეზე არ არის შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება/ქმედება	2
საჩივარი ეხება საკითხს, რომელსაც განიხილავს საბჭო იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით	1
საჩივარი ეხება საკითხს, რომელზეც არსებობს საბჭოს გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით	1
საჩივარი ეხება შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებას შესყიდვის პროცედურის შეწყვეტის შესახებ	4
საჩივრის შინაარსს არ აქვს შერჩეული საჩივრის შესაბამისი ფორმა	3

2019 წელს საბჭოში წარმოდგენილი საჩივრის მოთხოვნებიდან ჭარბობს შემსყიდველი ორგანიზაციის კანონმდებლობის შეუსაბამო გადაწყვეტილება/ქმედების გაუქმების მოთხოვნა. 1,245 წარდგენილი საჩივრიდან უმეტესობა - 1,003, ეხებოდა სატენდერო/საკონკურსო კომისიების გადაწყვეტილებებს და ქმედებებს, ხოლო, 242 საჩივარი სატენდერო პირობებს (იხ. დიაგრამა N16).

დიაგრამა N16 : 2019 წელს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში წარდგენილი საჩივრების საფუძვლები



ქვემოთ მოცემულ N13 ცხრილში ნაჩვენებია დავების განხილვის საბჭოში წარდგენილი საჩივრების განაწილება სტატუსებისა და შესყიდვის საშუალებების მიხედვით.

ცხრილი N 13: 2019 წელს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში წარდგენილი საჩივრების გადანაწილება სტატუსებისა და შესყიდვის პროცედურების მიხედვით

შესყიდვის საშუალება	NAT	SPA	DAP	MEP	CNT	სულ
დაკმაყოფილდა	194	40	-	-	2	**236**
ნაწილობრივ დაკმაყოფილდა	407	59	-	-	3	**469**
არ დაკმაყოფილდა	268	45	-	-	2	**315**
დაუშვებლად იქნა მიჩნეული	145	23	-	-	2	**170**
გაუქმდა მომჩივანის მიერ	42	13	-	-	-	**55**
სულ:	**1,056**	**180**	**-**	**-**	**9**	**1,245**

ცენტრალიზებული შესყიდვები

2019 წელს მნიშვნელოვანი რეფორმა გატარდა ცენტრალიზებული შესყიდვების ინტენსიფიცირებისა და გაფართოვების კუთხით. საბიუჯეტო სახსრების მეტად ეფექტიანი ხარჯვის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 აგვისტოს N446 დადგენილების ფარგლებში, ცენტრალიზებული შესყიდვებით მოცულ ჩამონათვალს დაემატა შემდეგი შესყიდვის ობიექტები (დაახლოებით, 216 მლნ. ლარის ჯამური ღირებულებით):

	შესყიდვის ობიექტი
1	ავტოსატრანსპორტო საშუალებები
2	სატრანსპორტო საშუალებების აკუმულატორები
3	სატრანსპორტო საშუალებების ძრავის ზეთებისა და ზეთის ფილტრები
4	სხვადასხვა ზომის დიდი ტვირთამწეობის საბურავები
5	სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის მომსახურება
6	სხვადასხვა სახის საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურება (სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირება)
7	სხვადასხვა სახის კვების პროდუქტები (ძალოვანი უწყებებისათვის განკუთვნილი საკვები პროდუქტები)
8	ფარმაცევტული პროდუქტები (მედიკამენტები)
9	სამედიცინო მოწყობილობები (სამედიცინო სახარჯი მასალები)
10	მზის ელექტროსადგურის სისტემები (მზის პანელები)

ცენტრალიზებული შესყიდვების რეფორმის ახალი ეტაპის წარმატებულად განხორციელების შედეგად:

- განხორციელდა მნიშვნელოვანი ოდენობით საბიუჯეტო სახსრების ეკონომია;
- შემცირდა თუნდაც თეორიულად შესაძლო კორუფციული გარიგებების რისკები;
- უნიფიცირებისა და სტანდარტიზების მეშვეობით, შემცირდა არამიზნობრივი შესყიდვები;
- უნიფიცირებისა და სტანდარტიზების მეშვეობით, შესაძლებელი გახდა და საგრძნობლად გაადვილდა შესყიდული საქონლის/მომსახურების ხარისხის მონიტორინგი;
- სახელმწიფო დაწესებულებებისათვის, ისევე როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის შესყიდვების ნაწილში საქმიანობა გახდა კომფორტული;
- შემცირდა „არ შემდგარი“ ან „დასრულებული უარყოფითი შედეგით“ ტენდერების რაოდენობა;
- სავარაუდო შესყიდვების აგრეგირების გზით გაიზარდა ბიზნეს კომპანიების დაინტერესების ხარისხი და კონკურენციის დონე;

- შემსყიდველი ორგანიზაციების აგრეგირებული მოთხოვნების დაკმაყოფილება მოხდა უფრო ეფექტიანად, თვითონ სატენდერო პროცესის ნაკლებად გაჭიანურების ხარჯზე;
- სახელმწიფო შესყიდვების სფეროში გაიზარდა უწყებათაშორისი ინფორმირებულობისა და კოორდინაციის დონე;
- შეიქმნა ერთიანი სტატისტიკური მონაცემების ბაზა, რომლის მეშვეობით შესაძლებელი გახდა ქვეყნის მასშტაბით ცენტრალიზებული შესყიდვების ეფექტური მენეჯმენტი.

ჯამურად კონსოლიდირებული ტენდერების გზით განხორციელებული შესყიდვების საწყისმა სავარაუდო ჯამურმა ღირებულებამ 2019 წელს 419 მლნ. ლარი შეადგინა, საიდანაც 403 მლნ. ლარს გაუტოლდა ელექტრონულ ვაჭრობაში დაფიქსრებული საბოლოო ღირებულება; შესაბამისად, ვაჭრობის შედეგად მიღებულმა ეკონომიამ დაახლოებით 16 მლნ. ლარი შეადგინა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც სააგენტოს შესაბამისი დეპარტამენტის მიერ ჩატარებული ეფექტიანი ბაზრის კვლევისა და კონსულტაციების შედეგად, კონსოლიდირებულ ტენდერებში საწყის სავარაუდო ფასებად ფიქსირდება მინიმალური ფასები, რის გამოც ელექტრონული ვაჭრობის შედეგად მიღებული ეკონომია მცირდება. აღნიშნულ შემთხვევებში, ცენტრალიზებული შესყიდვების ეფექტიანობის გამოსახატად, მხოლოდ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად მიღებული ეკონომიის მაჩვენებელი არ იძლევა ობიექტურ სურათს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ცენტრალიზებული შესყიდვების რეფორმის შედეგების ობიექტურად შესაფასებლად, მიზანშეწონილია გათვალისწინებულ იქნეს ასევე საცალო და საბაზრო ფასები (იხილეთ ცხრილი N15).

ცხრილი N14: 2019 წელს გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერების რაოდენობა შესყიდვის ობიექტის მიხედვით

N	შესყიდვის ობიექტი	გამოცხადებული ტენდრეების რაოდენობა
1	ნავთობპროდუქციის (საწვავი) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	7
2	სტანდარტული პერსონალური და სტანდარტული პორტაბელური ლომპიუტერების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	2
3	უწყვეტი კვების წყაროების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	1
4	სხვადასხვა სახის პრინტერისა და მათთვის განკუთვნილი კარტრიჯების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	4
5	A4 ფორმატის საბეჭდი ქაღალდის სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	4
6	სატელევიზიო საეთერო დროის (wGRP) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	3
7	ავტოსატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	16
8	სატრანსპორტო საშუალებების აკუმულატორების კონსოლიდირებული ტენდერი	1
9	სატრანსპორტო საშუალებების ძრავის ზეთებისა და ზეთის ფილტრების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	1
10	სხვადასხვა ზომის დიდი და მცირე ტვირთამწეობის საბურავების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	45
11	სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	11
12	სხვადასხვა სახის საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	58
13	სხვადასხვა სახის კვების პროდუქტის სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	52
14	ფარმაცევტული პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	124
15	სამედიცინო მოწყობილობების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	4
16	მზის ელექტროსადგურის სისტემების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	1
	სულ	**334**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში N15 ნაჩვენებია თითოეულ მათგანზე გამოცხადებული მოცულობა, შესაბამისი რაოდენობები და ეკონომია დეტალურად.

ცხრილი N15: კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში გამოცხადებული შესყიდვის ობიექტების მოცულობა და ეკონომია[23]

N	შესყიდვის ობიექტი	გამოცხადებული რაოდენობა	საწყისი ჯამური ღირებულება (ლარი)	ელექტრონულ ტენდერში ვაჭრობის შედეგად მიღებული ჯამური ეკონომია (ლარი)	სავარაუდო ეკონომია (საშუალო საბაზრო ფასთან მიმართებაში) ლარი
1	ნავთობპროდუქციის (საწვავი) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	70 250 000 (სამოცდაათი მილიონ ორას ორმოცდაათი ათასი) ლიტრი	152,992,500.00	-	31,934,500.00
2	სტანდარტული პერსონალური და სტანდარტული პორტაბელური ლომპიუტერების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	14 860 (თოთხმეტი ათს რვაას სამოცი) ცალი	20,233,800.00	1,197,430.00	3,339,170.00
3	უწყვეტი კვების წყაროების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	7 500 (შვიდი ათას ხუთასი) ცალი	900,000.00	262,575.00	285,891.00
4	სხვადასხვა სახის პრინტერისა და მათთვის განკუთვნილი კარტრიჯების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	5 137 (ხუთი ათას ას ოცდაჩვიდმეტი) ცალი პრინტერი და 56 მილიონი გვერდის ბეჭდვის რესურსის კარტრიჯი	4,073,566.00	357,768.00	11,505,319.00
5	A4 ფორმატის საბეჭდი ქაღალდის სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	590 000 (ხუთას ოთხმოცდაათი ათასი) შეკვრა	5,178,000.00	-	568,000.00
6	სატელევიზიო საეთერო დროის (wGRP) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	57 234 (ორმოცდაჩვიდმეტი ათას ორას ოცდათოთხმეტი) WGRP	3,000,000.00	-	19,918,945.00
7	ავტოსატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	1557 (ათას ხუთას ორმოცდაჩვიდმეტი) ცალი	105,494,430.00	1,706,142.00	17,536,763.00
8	სატრანსპორტო საშუალებების აკუმულატორების კონსოლიდირებული ტენდერი	11 798 ცალი	3,100,000.00	604,787.00	950,360.00

[23] ვინაიდან ტენდერების უმრავლესობა აერთიანებს მრავალი სხვადასხვა დასახელების, სახეობისა თუ სპეციფიკაციის პროდუქტს, შეუძლებელია ზუსტი ეკონომიის გამოთვლა საბაზრო ფასებთან შედარებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომია საბაზრო ფასებთან მიმართებაში, დათვლილია მიახლოებით, საცალო ბაზარზე არსებული ფასების გასაშუალოებულ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, სხვადასხვა სტატისტიკური ანალიზის მეთოდების გამოყენებით

9	სატრანსპორტო საშუალებების ძრავის ზეთებისა და ზეთის ფილტრების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	315 000 ლიტრი	3,650,000.00	550,200.00	1,434,000.00
10	სხვადასხვა ზომის დიდი და მცირე ტვირთამწეობის საბურავების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	70 871 ცალი	17,288,031.00	268,995.00	11,179,000.00
11	სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	9635 (ცხრა ათას ექვსას ოცდათხუთმეტი) ერთეული ავტომანქანის დაზღვევა 245 (ორას ორმოცდახუთი) დღეზე	5,552,072.00	998,554.00	1,923,961.00
12	სხვადასხვა სახის საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირება სულ, 58 მუნიციპალიტეტში	15,484,940.00	599,470.00	1,453,173.00
13	სხვადასხვა სახის კვების პროდუქტის სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	128 დასახელების სხვადასხვა საკვები პროდუქტი	48,712,503.00	2,378,148.00	14,213,000.00
14	ფარმაცევტული პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	1 144 დასახელების ბაზისური დანიშნულების მედიკამენტი	28,326,929.00	7,460,808.00	-
15	სამედიცინო მოწყობილობების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული	91 (ოთხმოცდათერთმეტი) სამედიცინო სახარჯი მასალა	3,294,799.00	199,051.00	-
16	მზის ელექტროსადგურის სისტემების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	178 (ას სამოცდათვრამეტი) ცალი პანელი	2,545,400.00	-	1,386,900.00
	სულ		**419,826,970**	**16,583,928**	**117,628,982**

2019 წელს კონსოლიდირებული ტენდერების გზით მიღებულმა ჯამურმა ეკონომიამ შესაბამისი შესყიდვის ობიექტების საცალო და საბითუმო ფასებთან მიმართებაში გადააჭარბა 100 მილიონ ლარს. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნულ თანხაში არ შედის ფიჭური სატელეფონო მომსახურეობის, სამედიცინო სახარჯი მასალებისა და ფარმაცევტული პროდუქტების კონსოლიდირებული ტენდერების ფარგლებში არსებული დანაზოგი.

ამჟამად სააგენტოში ინტენსიურად ხორციელდება ანალიტიკური და კვლევითი მუშაობა, რათა მოხდეს სხვა, დამატებითი შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირება, რომელთა ცენტრალიზებული შესყიდვაც გამართლებული იქნება საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი ხარჯვის პრინციპის ან სხვა მოტივაციის გათვალისწინებით.

გამარტივებული შესყიდვები

2019 წლის განმავლობაში გამარტივებული შესყიდვის საფუძვლით გაფორმებული ხელშეკრულებების მოცულობამ შეადგინა საერთო რაოდენობის 18%, რაც 1%-ით ნაკლებია 2018 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. 2019 წელს ჯამში სააგენტოში შემოვიდა 5,153 მომართვა; 4,426 შემთხვევაში გაიცა თანხმობა; ხოლო გახმობილი, უარყოფილი და განუხილველი მომართვების რაოდენობამ კი 727 შეადგინა. ქვემოთ მოცემულ N17 და N18 დიაგრამებზე მოცემულია სტატისტიკური მაჩვენებლები გამარტივებული შესყიდვების საფუძვლებისა და სტატუსების მიხედვით.

დიაგრამა N 17: გამარტივებული შესყიდვების შეთანხმების ელ.- მოდულში შემოსული განცხადებების განაწილება მიმართვის საფუძვლის მიხედვით



დიაგრამა N18: გამარტივებული შესყიდვების შეთანხმების ელ.-მოდულში შემოსული განცხადებების განაწილება მიმართვის სტატუსების მიხედვით



აღნიშნული დიაგრამიდან იკვეთება, რომ დადებითი პასუხი გაცემულია მომართვების 86%-ზე, ხოლო 14% შეადგინა იმ მომართვების წილმა, რომლებიც არ დაკმაყოფილდა.

2019 წელს შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სააგენტოში მომართვისა და სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სტატისტიკური მონაცემები მოცემულია ცხრილი N16-ში.

ცხრილი N16: გამარტივებული შესყიდვების შეთანხმების ელ.-მოდულში შემოსული განცხადებების დეტალური სტატისტიკა

შესყიდვის საფუძველი	თანხმობა	უარყოფა	განუხლილველი	გახმობილი	სულ
გადაუდებელი აუცილებლობა	2,272	387	8	106	2,773
ექსკლუზიური უფლებამოსილება	877	74	6	33	990
ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარება	279	26	1	18	324
ხარისხის გაუარესების თავიდან აცილება	79	14	1	7	101
შეთანხმება გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის შემდგომ	919	25	1	20	965
ჯამი	4,426	526	17	184	5,153

ადმინისტრაციული სამართალდარღვევები და სასამართლო დავები

2019 წელს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ, მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, შედგენილ იქნა 76 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი - 205 პირის მიმართ. სასამართლოში გაგზავნილი სამართალდარღვევათა ოქმები, შეეხებოდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 159[5]-159[9] მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა კატეგორიას. წარდგენილ ოქმებთან მიმართებით, სასამართლოს მიერ, უმეტეს შემთხვევებში გამოყენებული იქნა გაფრთხილება, როგორც ადმინისტრაციული სახდელის სახე.

საერთო სასამართლოებში, 2019 წლის განმავლობაში, სააგენტოს ამა თუ იმ ფორმით ჩართულობით, მიმდინარეობდა 247 საქმის განხილვა. აქედან, 76 საქმე ეხებოდა სააგენტოს მიერ შედგენილ ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმებს, 87 საქმე ეხებოდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მიერ გამოცემულ განკარგულებას შავ სიაში რეგისტრაციის თაობაზე, (სასამართლომ 2 საქმის შემთხვევაში ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა, რაც სააგენტოს მიერ გასაჩივრებული იქნა ზემდგომ ინსტანციაში) 61 საქმე ეხებოდა დავების განხილვის საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს (სასამართლომ 1 საქმის შემთხვევაში ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოთხოვნა), 7 საქმე კონსოლიდირებულ ტენდერს, 21 საქმე შეეხებოდა - სამოქალაქო დავას, დაკავშირებულს საბანკო გარანტიის გამოთხოვასთან, აგრეთვე სახელშეკრულებო ურთიერთობის საკითხებს. ამასთან, გასაჩივრებულ იქნა 1 განკარგულება თეთრ სიაში რეგისტრაციასთან დაკავშირებით. 1 დავა შეეხებოდა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვას.

2019 წელს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში წარდგენილი 1,245 საჩივრიდან, როგორც აღინიშნა, სასამართლოში გასაჩივრებულ იქნა 61 გადაწყვეტილება, რომელიც მთლიანად წარდგენილი საჩივრების 4%-ს შეადგენს.

ასევე, 2019 წლის განმავლობაში შავ სიასთან დაკავშირებით გასაჩივრებულ იქნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მიერ გამოცემული 87 განკარგულება.

მთელი 2019 წლის განმავლობაში, სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის მიერ გაწეული იქნა არაერთი სატელეფონო კონსულტაცია, რომლებიც შეხებოდა როგორც სამართლებრივი შინაარსის საკითხებს, ასევე სასამართლო დავების წარმოებასთან დაკავშირებულ ცალკეულ საკთხებს.

„თეთრი სიის“ წარმოება

2019 წელს, სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე კვალიფიციურ მიმწოდებლის რეესტრში, ე.წ. “თეთრ სიაში“ ეკონომიკური ოპერატორების მოხვედრის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების ჯამურმა რაოდენობამ 192 შეადგინა (2018 წელს 127 გადაწყვეტილება იყო მიღებული). რეგისტრაციასთან და რეგისტრაციის გაგრძელებასთან დაკავშირებით სააგენტოს მიერ მიღებული იქნა ჯამში 126 გადაწყვეტილება (2018 წელს განხორციელდა 99 რეგისტრაცია), უარი ეთქვა 2 შემთხვევაში (2018 წელს - 3 გადაწყვეტილება), ხოლო განუხილველად დარჩა 64 შემთხვევა (2018 წელს - 25 გადაწყვეტილება), რომელთა დეტალური მონაცემები ასახულია N19 დიაგრამაზე.

დიაგრამა N19: 2019 წელს „თეთრ სიაში“ რეგისტრაციასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების განაწილება სტატუსების მიხედვით



„შავი სიის“ წარმოება

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ახორციელებს არაკეთილსინდისიერ მიმწოდებელთა რეესტრის, ე.წ. „შავი სიის“ წარმოებასაც.

„შავ სიაში“ მიმწოდებლების რეგისტრაციასთან დაკავშირებით, სააგენტოში წარმოდგენილი იქნა 807 მომართვა (2018 წელს - 607 მომართვა). აქედან 592 შემთხვევაში მიმწოდებლები სააგენტოს მიერ დარეგისტრირდნენ „შავ სიაში“ (2018 წელს - 403), ხოლო 138 მიმწოდებელს მიეცა გაფრთხილება (2018 წელს - 143). გადაწყვეტილებების დეტალური შედეგები ასახულია N20 დიაგრამაზე.

დიაგრამა N20: 2019 წელს „შავ სიაში“ რეგისტრაციასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების განაწილება სტატუსების მიხედვით



სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების მონიტორინგი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ყოველწლიურად ელექტრონული პროცედურებით განხორციელებული შესყიდვების, წლიური გეგმებისა და გამარტივებული შესყიდვების მონიტორინგს ახორციელებს.

2019 წლის განმავლობაში, განხორციელდა *eProcurement* სისტემაში ინტეგრირებული სერვისის - ავტომატური შეტყობინებების საშუალებით სხვადასხვა რისკ-ფაქტორებისა და კრიტერიუმების მიხედვით გაფილტრული „ხელშეკრულება დადებულია“ სტატუსის მქონე 13,414 (2018 წელს - 14,814) და „შეწყვეტილია“, „არ შედგა“ და „დასრულდა უარყოფითი შედეგით“ სტატუსის მქონე 1,678 (2018 წელს - 639) ელექტრონული ტენდერის სრულფასოვანი მონიტორინგი.

ამავდროულად, მოხდა სისტემაში პრეტენდენტების დისკვალიფიკაციის შესაბამისობის დადგენის მიზნით 8,067 (2018 წელს - 8,400) ელექტრონული ტენდერის მონიტორინგი.

სააგენტო, ასევე ახორციელებს კონკურსებისა და CMR მოდულის მეშვეობით წარმოდგენილი გამარტივებული შესყიდვების საშუალებით დადებული ხელშეკრულებების მონიტორინგს. სულ განხორციელდა 70 (2018 წელს - 60) კონკურსისა და 74,307 (2018 წელს - 52,688) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დადებული ხელშეკრულების მონიტორინგი.

სააგენტოს მიერ გამოვლენილ დარღვევებზე შემსყიდველ ორგანიზაციებთან გაიგზავნა 1,810 წერილი (2018 წელს - 1,815). აქედან, 79 შემთხვევაში შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი (2018 წელს - 116), ხოლო სხვა დანარჩენ შემთხვევაში სააგენტო შემოიფარგლა წერილობითი მითითებით-რეკომენდაციით.

ადამიანური რესურსების განვითარება

მხოლოდ 2019 წელს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში ჩატარდა ტრენინგების 25 ციკლი, რომლის ფარგლებშიც ჯამში გადამზადდა 700 მსმენელი. ტრენინგების 10 ციკლი დაეთმო „სახელმწიფო შესყიდვების კურსს“, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა სახელმწიფო დაწესებულებების, უწყებების, მათზე დაქვემდებარებული საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირების შესყიდვების კუთხით დასაქმებული, ასევე მუნიციპალიტეტების და მათ მიერ დაფუძნებული და მართვაში არსებული კერძო სამართლის იურიდიული პირების (ააიპ-ების, შპს-ებისა და სხვ.) შესყიდვების კუთხით დასაქმებული 391 სპეციალისტი.

ტრენინგების 15 ციკლი დაეთმო ერთდღიან სპეციალიზებულ კურსს „სიახლეები სახელმწიფო შესყიდვებში“, რომლის ფარგლებშიც სულ გადამზადდა 309 მსმენელი. აღნიშნული კურსი განკუთვნილია უკვე შესყიდვების სერთიფიცირებული სპეციალისტებისთვის და მოიცავს ყველა იმ სიახლეს რომელიც სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში პერმანენტულად ინერგება.

სასწავლო ცენტრი აქტიურად თანამშრომლობდა საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, რომლებიც ადამიანური კაპიტალის განვითარების სფეროში მოღვაწეობენ. მათ, როგორც დონორებმა და პარტნიორებმა, დიდი წვლილი შეიტანეს ერთობლივი ღონისძიებების, ტრენინგებისა და სემინარების ორგანიზება-ჩატარებაში, ასევე სასწავლო ცენტრის დიდაქტიკური საქმიანობისათვის აუცილებელი ლიტერატურის და სახელმძღვანელოების შეძენა-შექმნაში.

სურ. 1. ტრენინგებზე წარმოდგენილი ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები



2014 წლის ოქტომბრიდან დღემდე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში გადამზადებული და სერტიფიცირებულია 3,037 შესყიდვების კუთხით დასაქმებული სპეციალისტი, ექსპერტი თუ მენეჯერი; მათ შორის: 1,681 მსმენელი ცენტრალური ხელისუფლების სახელმწიფო უწყებებიდან, 1,286 ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან და მათ მიერ დაფუძნებული იურიდიული პირებიდან, ხოლო 70 ბიზნეს-სექტორის წარმომადგენელი. ამ რიცხვში არ არის მითვლილი საერთაშორისო შეხვედრებში, მრგვალ მაგიდებზე, სემინარებსა და სხვა ტიპის საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრებზე მოწვეული მსმენელები; მათმა რაოდენობამ შეადგინა - სულ 358 მსმენელი. ასევე ერთდღიანი ტრენინგების კურსით გადამზადებული 678 მსმენელი და მუნიციპალიტეტების მერიებიდან 117 მსმენელი. ჯამში, 2014 წლის ოქტომბრიდან 2019 წლის დეკემბრამდე, სააგენტოს სასწავლო ცენტრის მიერ გადამზადებულია 4,190 მსმენელი.

მომხმარებლებთან საქმიანი კომუნიკაცია

2019 წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დოკუმენტბრუნვამ (შემოსული და გასული წერილების რაოდენობამ) შეადგინა 14,446 (2018 წელს ეს ციფრი შეადგენდა 15,713). აგრეთვე, სააგენტოს ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე (info@procurement.gov.ge) შემოვიდა და მსვლელობა მიეცა 7,697 წერილს (2018 წელს - 6,024). ხოლო დაარქივებული წერილების რაოდენობამ 1,585 შეადგინა (2018 წელს - 2,195).

ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა აქვს ამომწურავი და კომპეტენტური პასუხი მიიღოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში არსებულ სატელეფონო „ცხელ ხაზზე“ – (+99532)2484822. 2019 წლის განმავლობაში სააგენტოს "ცხელ ხაზზე" შემოვიდა და პასუხი გაეცა 20,298 ზარს (2018 წელს - 17,781).

ცხრილი N17: სატელეფონო „ცხელ ხაზზე“ შემოსული ზარების სტატისტიკა

ზარის შინაარსი	რაოდენობა	%
ტექნიკური პარამეტრები/სისტემის გამოყენებასთან დაკავშირებული კითხვები	8,419	41.5
კანონმდებლობასთან დაკავშირებული კითხვები	5,074	25.0
კონსოლიდირებული ტენდერები	3,974	19.6
საბანკო მომსახურეობასთან დაკავშირებული საკითხები	1,160	5.7
დავებთან/დავების საბჭოსთან დაკავშირებული კითხვები	1,356	6.7
გადაუდებელი აუცილებლობიდან გამოწვეული შესყიდვები	201	1.0
სხვა	114	0.6
სულ	**20,298**	**100**

eProcurement სისტემაში ჩაშენებული მოკლე ტექსტური შეტყობინებებისა (SMS) და სისტემური შეტყობინებების მეშვეობით, ასევე ვებ-პორტალის spa.ge სერვისების მეშვეობით, სახელმწიფო შესყიდვებით დაინტერესებულ პირებს საშუალება ეძლევათ მუდმივ რეჟიმში იყვნენ ინფორმირებული ცვლილებების, განცხადებების, ახალი რეგულაციების შემოღებისა და სერვისების განვითარების შესახებ. ასევე, ყველა მომხმარებელს ეძლევა საშუალება მიიღოს დროული და ამომწურავი ინფორმაცია მათთვის საინტერესო ტენდერების შესახებ. მხოლოდ 2019 წელს გაგზავნილი სისტემური შეტყობინებების ჯამურმა რაოდენობამ დაახლოებით 48 მილიონი შეადგინა, ხოლო მოკლე ტექსტური შეტყობინებების რაოდენობამ კი 251 ათას გადააჭარბა.

2019 წელი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის დატვირთული და ნაყოფიერი აღმოჩნდა საზოგადოებასთან ურთიერთობის კუთხით. გაიმართა არაერთი შეხვედრა, კონფერენცია თუ ღონისძიება. კერძოდ:

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ხელმძღვანელი პირები საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის საბჭოს წევრებს შეხვდნენ. შეხვედრა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებით ჩატარდა. შეხვედრაზე სავაჭრო-სამრეწველო პალატის საბჭოს წევრები დაინტერესდნენ იმ გამოწვევებით, რომლებიც აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში არსებობს. ასევე, წამოიჭრა საკითხი კონსოლიდირებული ტენდერების დავების განხილვის საბჭოში გასაჩივრებასთან დაკავშირებით;

- 2019 წელს ევროკავშირის Twinning-ის (საჯარო დაწესებულებების დაძმობილების ინსტრუმენტი) პროექტის „საქართველოს საჯარო შესყიდვების სისტემის გაძლიერება“ მმართველი კომიტეტის სხდომა გაიმართა. პროექტი სრულად დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და მას ახორციელებს ავსტრიის საჯარო შესყიდვების ფედერალური სააგენტო და სლოვენიის დავების განხილვის ეროვნული კომისია. პროექტის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემის შემდგომ განვითარებასა და მოდერნიზებას ევროპული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რაც თავის მხრივ, გულისხმობს ქვეყანაში ეფექტიანი, გამჭვირვალე, არადისკრიმინაციული და კონკურენტუნარიანი სახელმწიფო შესყიდვების ეკოსისტემის ჩამოყალიბებას. სხდომაში მონაწილეობდნენ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენლობა, ასევე ავსტრიის საჯარო შესყიდვების ფედერალური სააგენტოსა და სლოვენიის დავების განხილვის ეროვნული კომისიის პირველი პირები;

  პროექტის ფარგლებშივე გაიმართა ღონისძიება, სადაც სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს ვიცე-პრემიერი მაია ცქიტიშვილი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე ლევან რაზმაძე, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი ნინო ჩიქოვანი. ღონისძიებას ესწრებოდნენ საგარეო საქმეთა, ფინანსთა, ეკონომიკის და სხვა სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლები, ასევე საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის,

საქართველოში არსებული ავსტრიის საელჩოსა და სლოვენიის საკონსულოს, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების, ასევე ბიზნეს წრეების, სამოქალაქო

სექტორის წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები;

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და ევროკავშირის Twinning-ის პროექტის ორგანიზებით მედია-შეხვედრა გაიმართა. სააგენტოს თანამშრომლებმა ჟურნალისტებს მიაწოდეს ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების სფეროში რეგულაციების, პროცედურებისა და წესების თაობაზე. ევროპელმა ექსპერტებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები. შეხვედრა კითხვა-პასუხის ფორმატში მიმდინარეობდა;

- ევროკავშირის პროექტის "საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემის გაძლიერება" ფარგლებში, ქართველი მოსამართლეებისთვის გასვლითი სასწავლო ვიზიტი მოეწყო. საქართველოს სახელმწიფო შესყიდვებში მიმდინარე და დაგეგმილი სიახლეები მოსამართლეებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ხელმძღვანელმა პირებმა გაუზიარეს. შეხვედრა კითხვა-პასუხის ფორმატში მიმდინარეობდა. აღნიშნული სასწავლო ვიზიტი მიზნად ისახავდა, სასამართლო ხელისუფლებიდან ქართველი კოლეგებისთვის ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას საჯარო შესყიდვების სფეროში მიმდინარე სამართლებრივ რეფორმებზე, დამკვიდრებულ ახალ მიდგომებზე, ასევე, დავების განხილვის პროცედურების კუთხით. მოწვეულ სპიკერთა შორის იყვნენ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს სლოვენიელი მოსამართლე მირო პრეკი და ავსტრიის ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლოს მოსამართლე კარინ შნაბლი. სასწავლო ვიზიტში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს, თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმომადგენლებმა;

-

- საჯარო შესყიდვების სფეროში კორუფციული რისკების შემცირებასთან დაკავშირებული ღონისძიება ჩატარდა. ღონისძიება ევროკავშირის Twinning - ის პროექტის "საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემის გაძლიერება" ფარგლებში გაიმართა და მიზნად ისახავდა ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენელთა მიერ დაინტერესებული ქართველი აუდიტორიისთვის ინფორმაციის გაზიარებას სახელმწიფო შესყიდვების სფეროში კორუფციის პრევენციისა და აღმოფხვრის შესახებ არსებული საერთაშორისო თუ ევროპული საუკეთესო მექანიზმებისა და პრაქტიკის შესახებ. ღონისძიებას უძღვებოდნენ ევროკავშირის მაღალი რანგის ექსპერტები და საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე ლევან რაზმაძე, ხოლო სემინარში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სხვადასხვა საჯარო დაწესებულებების წარმომადგენლებმა;

- 2019 წელს გაიმართა საერთაშორისო სემინარი თემაზე "სახელმწიფო შესყიდვების სფეროში დაგეგმილი რეფორმები კომუნალურ სექტორში". ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ფარგლებში დამტკიცებული გარდაქმნების სამოქმედო გეგმის მიხედვით, რომელიც გულისხმობს ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივ დაახლოებას, გათვალისწინებულია უახლოეს წლებში ევროკომისიის კომუნალური სექტორის (ელ. ენერგია, გაზი, წყალი, საფოსტო, სატრანსპორტო, პორტებისა და აეროპორტების მომსახურების თაობაზე) დირექტივასთან (2014/25/EU) დაახლოება. აღნიშნული დირექტივა ითვალისწინებს რიგ საკანონმდებლო ცვლილებასა და ახალ რეგულაციებს კომუნალურ სექტორში მომსახურების გაუმჯობესების მიზნით. შეხვედრას წარუძღვნენ ევროკავშირის წევრი ქვეყნების მაღალი რანგის ექსპერტები და დამსწრე საზოგადოებას გააცნეს ევროკავშირის კომუნალური სექტორის დირექტივის პრინციპები და დებულებები და ასევე განიხილეს საქართველოს კანონმდებლობის ზემოაღნიშნულ რეგულაციებთან ჰარმონიზაციის საკითხი.

საერთაშორისო ურთიერთობების ინტენსიფიცირება

2019 წელი საკმაოდ ნაყოფიერი იყო სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავების კუთხით:

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო აქტიურად განაგრძობს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ფარგლებში მთავრობის მიერ დამტკიცებული სამოქმედო გეგმის[24] შესრულებას. 2019 წლის დეკემბერში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში გაიმართა ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტის (ACTC) ყოველწლიური სხდომა. კომიტეტის სხდომაზე ევროკომისიის წარმომადგენლებს წარედგინათ DCFTA-ის ფარგლებში, ევროკავშირთან აღებული ვალდებულებების შესრულების შესახებ გაფართოებული ანგარიში და დეტალური პრეზენტაცია;
- 2019 წლის იანვარში დაიწყო ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ევროკავშირთან დამმობილების პროგრამის Twinning პროექტი, რომლის მიზანია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინსტიტუციური მხარდაჭერა და მოწინავე ევროპული გამოცდილების გაზიარება. პროექტი შედგება სამი კომპონენტისგან: 1) მხარდაჭერა საჯარო შესყიდვების კანონმდებლობის დახვეწაში; 2) ტრეინინგები და უნარ-შესაძლებლობების გაძლიერება; 3) დავების განხილვის ადმინისტრაციული ორგანოს რეფორმირება;

[24] http://procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/StrategyActionPlan/DCFTA-(31-03-16).pdf.aspx

- 2019 წლის 5-8 ნოემბერს ქ. თბილისში გაიმართა OECD SIGMA-ს, საჯარო შესყიდვების მე-3 რეგიონალური კონფერენცია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისათვის. კონფერენციის მონაწილეებს სიტყვით მიმართა საქართველოს ვიცე პრემიერმა ქ-ნ მაია ცქიტიშვილმა. კონფერენციას ესწრებოდნენ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საჯარო შესყიდვების და სამთავრობო უწყების წარმომადგენლები, ასევე ევროკომისიის (DG GROW, DG NEAR), მსოფლიო ბანკის, აზიის განვითარების ბანკის და სხვა წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კონფერენციაზე გაიმართა დისკუსიები და პრეზენტაციების საჯარო შესყიდვების სფეროში მიმდინარე რეფორმებსა და ტენდენციებზე. მონაწილეები გაეცნენ სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებას საჯარო შესყიდვების სფეროში, გაიმართა საქმიანი დისკუსიები როგორც ოფიციალურ ისე არაფორმალურ ვითარებაში, ხელი შეეწყო ორმხრივი პარტნიორული ურთიერთობების დამყარებას;

FOR ENP EAST COUNTRIES

- 2019 წლის განმავლობაში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო აქტიურად იყო ჩართული საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული, 2019-2020 წლების ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებაში. 2019 წლის 9 დეკემბერს, საერთაშორისო ანტიკორუფციულ დღესთან დაკავშირებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ორგანიზებითა და USAID GGI პროგრამის მხარდაჭერით, ქ. ბათუმში გაიმართა სააგენტოს წარმომადგენლების შეხვედრები ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებთან და შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებთან. შეხვედრებზე მოწვეული სტუმრები გაეცნენ სახელმწიფო შესყიდვებში განხორციელებულ ანტიკორუფციულ რეფორმებს;
- 2019 წლის იანვარსა და მაისში გაიმართა მოლაპარაკებები ბრიტანეთის მთავრობასთან, ბრიტანეთსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების დადების თაობაზე. შეთანხმება მოიცავს საჯარო შესყიდვების სფეროს, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია ორ ქვეყანას შორის საჯარო შესყიდვების სფეროში ბაზრების გახსნა;
- 2019 წლის აპრილში, ქ. ნურსულთანში გაიმართა საქართველო-ყაზახეთის მთავრობათაშორისი სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის ორმხრივი კომისიის სხდომა. სხდომაზე მხარეები შეთანხმდნენ ორმხრივ თანამშრომლობაზე, მათ შორის სახელმწიფო შესყიდვების სფეროში;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო აქტიურად არის ჩართული ევროკავშირის მაკრო საფინანსო დახმარების (MFA) პროგრამის მიმდინარეობაში, რომლის ფარგლებშიც ასრულებს რიგ საერთაშორისო ვალდებულებას და რომლის კოორდინატორია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. 2019 წლის განმავლობაში, გაიმართა მოლაპარაკებების რამოდენიმე რაუნდი ევროკავშირის წარმომადგენლებთან, MFA-ის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების სტატუსის თაობაზე. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ, 2019 წელს წარმატებით შეასრულა MFA-ის ფარგლებში აღებული ვალდებულებები;
- 2019 წლის განმავლობაში, უწყებათაშორისი სამუშაო კომისიის ფარგლებში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო აქტიურად იყო ჩართული თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში, სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი ნორმების შემუშავების პროცესში, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ ვალდებულებას NATO-

სთან თანამშრომლობის კუთხით. წლის განმავლობაში გაიმართა სამუშაო შეხვედრები თავდაცვის სამინისტროსა და NATO-ს მისიასთან, რის შედეგადაც შემუშავდა კანონპროექტი, რომელიც ინტეგრირდა საჯარო შესყიდვების შესახებ ახალ კანონპროექტში, რომელიც ამჟამად განხილვის პროცესშია;

- 2019 წლის განმავლობაში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ტურში ან სხვადასხვა გაცნობითი მისიით ესტუმრნენ ავღანეთის, უზბეკეთის, ტაჯიკეთის, ყაზახეთის, მალაიზიის, ინდოეთის, ლატვიის და უკრაინის სამთავრობო დელეგაციები, რომლებიც გაეცნენ საქართველოს სახელმწიფო შესყიდვებში მიმდინარე და განხორციელებულ რეფორმებს. სტუმრები ასევე გაეცნენ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემას და სხვა მოწინავე ელექტრონულ ინოვაციურ სერვისებს;

- 2019 წელს, ევროკავშირის დაფინანსებით, საფუძველი ჩაეყარა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ახალ რეგიონალურ ინიციატივას "EU4Environment"[25], რომლის მიზანია მწვანე ინვესტიციების წახალისების მიზნით, ინოვაციური პროდუქტების და ტექნოლოგიების დანერგვა. აღნიშნული ინიციატივის ერთ-ერთი კომპონენტი ითვალისწინებს მდგრადი საჯარო შესყიდვების[26] სისტემის შემუშავებას, რომელიც იქნება მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ენერგოეფექტური და მწვანე ეკონომიკის დანერგვის მიზნით. აღნიშნულ ინიციატივასთან დაკავშირებით, 2019 წლის სექტემბერში გაიმართა მოლაპარაკებები "EU4Environment" პროგრამის წარმომადგენლებთან. პროგრამის ფარგლებში 2020 წლიდან დაგეგმილია ახალი პროექტის დაწყება, რომელის მიზანია მდგრადი საჯარო შესყიდვების სისტემის დანერგვა და მწვანე შესყიდვების წახალისება სახელმწიფო შესყიდვებში. ამ მიზნით, გაიმართა სამუშაო შეხვედრები სხვადასხვა დაინტერესებული უწყებების წარმომადგენლებთან, დაიგეგმა პროექტის მომავალი აქტივობები;

[25] https://www.euneighbours.eu/en/east/stay-informed/projects/eu4environment ; http://www.oecd.org/site/eu4environment/
[26] Sustainable Public Procurement

- 2019 წლის 24-28 ნოემბერ გაიმართა სასწავლო ვიზიტი პორტუგალიაში, რომელიც ორგანიზებული იყო ევროკავშირის TAIEX-ის პროგრამის მიერ. სასწავლო ვიზიტის განმავლობაში გაიმართა სამუშაო შეხვედრები პორტუგალიის საჯარო შესყიდვების (IMPIC) უწყებასთან, რომლის მიზანი იყო პორტუგალიის საჯარო შესყიდვების სისტემის გაცნობა. სასწავლო ვიზიტის განმავლობაში გაიმართა სამუშაო შეხვედრები პორტუგალიის საჯარო შესყიდვების (IMPIC) უწყებასთან, რომლის მიზანი იყო პორტუგალიის საჯარო შესყიდვების სისტემის გაცნობა და მოწინავე გამოცდილებისა და პრაქტიკის გაზიარება, სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში ახალი ევრო-რეგულაციების დანერგვის მიზნით, რომელიც გათვალისწინებულია ევროდირექტივებით.

პარტნიორებთან თანამშრომლობა

European Commission

Delegation of the European Union to Georgia

OECD
BETTER POLICIES FOR BETTER LIVES

SIGMA

TAIEX

TWINNING

NATO OTAN

UNDP

UN WOMEN
United Nations Entity for Gender Equality and the Empowerment of Women

ILO
International Labour Organization

UNOPS

WORLD TRADE ORGANIZATION

USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

UN environment

გერმანიის თანამშრომლობა
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

giz

CLDP
COMMERCIAL LAW DEVELOPMENT PROGRAM

Sida

THE WORLD BANK
IBRD • IDA | WORLD BANK GROUP

UKaid
from the British people

cim
Centre for International Migration and Development
a joint operation of GIZ and the German Federal Employment Agency

European Bank
for Reconstruction and Development

DFID
Department for International Development

European Investment Bank

TRANSPARENCY INTERNATIONAL
the global coalition against corruption

ADB Asian Development Bank
FIGHTING POVERTY IN ASIA AND THE PACIFIC

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION
IDFI